ინფორმაცია

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს „გრუზვინპრომის“ 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის ფორმით პირობებით პრივატიზების თაობაზე“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში, „სააგენტო“) წარდგენილია შპს „Bolero & Company"-ის (ს/კ N404431726) 28.07.2015 წლის N64418/04 და 20.08.2015 წლის N71261/04, შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანიის“ (ს/კ 206159100) 23.06.2015 წლის N52316/04 და ფიზიკურ პირ გერცენ წიწუაშვილის 14.08.2015 წლის N69808/07 განცხადებები, შპს „გრუზვინპრომის“ (ს/კ N231289290) (შემდეგში „საწარმო“) 100%-იანი წილის პრივატიზების მოთხოვნით.

სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „გრუზვინპრომის“ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით და საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2015 წლის 10 ივლისის N003965115 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობით - 11 620 000 (თერთმეტი მილიონ ექვსას ოცი ათასი) ლარით, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 5000 (ხუთი ათასი) ლარით.

საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო საფასურის გადახდა შემდეგ ვადაში:

ა.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში არანაკლებ 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის გადახდა;

ა.ბ) 2017 წლის 01 იანვრამდე არანაკლებ 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის გადახდა;

ა.გ) 2018 წლის 01 სექტემბრამდე, დარჩენილი საპრივატიზებო საფასურის გადახდა;

ბ) პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით:

ბ.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში, შპს „გრუზვინპრომის“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ N51.01.57.274) სპირტის ან/და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი

საწარმოს მშენებლობის/რეკონსტრუქციის ან/და აღჭურვის მიზნით, არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება;

ბ.ბ) 2016 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, ყოველწლიურად, არანაკლებ 3000 (სამი ათასი) ტონა ყურძნის შეძენა-გადამუშავება;

ბ.გ) ამ განკარგულების გამოცემამდე არსებული შპს „გრუზვინპრომის" კრედიტორული დავალიანების, მათ შორის, ამავე კრედიტორული დავალიანების საფუძველზე წარმოქმნილი ფულადი ვალდებულებების (პროცენტი და სხვა) სრულად დაფარვის უზრუნველყოფა, კრედიტორებთან შეთანხმებულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 2020 წლის 1 იანვრამდე;

ბ.დ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში, შპს „გრუზვინპრომში" დასაქმებულ არანაკლებ 40 (ორმოცი) პირთან შრომითი ხელშეკრულების გაგრძელება/შენარჩუნება, არანაკლებ 4 (ოთხი) წლის ვადით;

გ) „ბ.ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან არანაკლებ 10 (ათი) წლის განმავლობაში, შპს „გრუზვინპრომის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ N51.01.57.274) სპირტის ან/და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი საწარმოს პროფილით ფუნქციონირება.

ამასთან, „ა" და „ბ.ა-ბ.დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), ელექტრონული აუქციონის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსათვის წარმოდგენილი უნდა იქნას „ბ.ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა იქნება ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადაზე არანაკლებ 4 (ოთხი) თვით მეტი.

აღსანიშნავია, რომ შპს „გრუზვინპრომის" 100%-იანი წილის საბაზრო ღირებულება, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" 2015 წლის 10 ივლისის N003965115 (სააგენტოს რეგ.: N58643/13., 10.07.2015 წელი) სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შეადგენს 50 999 460 (ორმოცდაათი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ოთხას სამოცი) ლარს. აქვე ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შეფასებისას არ არის გათვალისწინებული საინვესტიციო პროექტის განხორციელების საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, რეგიონში მეღვინეობისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობაში გამოიხატება. ამ გარემოების მხედველობაში მიღებით და იმის გათვალისწინებით, რომ გამოიკვეთა ქონების რამდენიმე პოტენციური მყიდველი, რომლებიც მზად არიან, განახორციელონ კონკრეტული საინვესტიციო პროექტი, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება განხორციელდეს საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს

კანონის 6^2 მუხლისა და სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი რეგულაციის ფარგლებში.